# ლეონარდო და ვინჩი

შ. ამირანაშვილი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

★

მშვიდობის მსოფლიოს საბჭომ გასული წლის ნოემბრის სესიაზე, ცნობილი საბჭოთა მწერლის ილია ერენბურგის წინადადებით, მიიღო გადაწყვეტილება — გადახდილი იქნას დიდი იტალიელი მხატვრის, მოქანდაკის, ხუროთმოძღვრის და სწავლულის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის დღესასწაული. ამ ისტორიული თარიღის აღნიშვნა უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენაა მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. ეს იუბილე ერთიერთს კიდევ უფრო დაუახლოვებს მსოფლიო ხალხებს, რომლებიც დიდი საბჭოთა ხალხის მეთაურობით აქტიურად იბრძვიან მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, კაცობრობის საეკეთესო იდეალების განხორციელებისათვის.

მრავალეროვანმა საბჭოთა კავშირმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა, რომ სათანადო ზეიმითა და ღირსებით გადაიხადოს ლეონარდო და ვინჩის საიუბილეო დღესასწაული. სამეცნიერო დაწესებულებებსა, უნივერსიტეტებსა, შემოქმედებითს ორგანიზაციებსა, კულტურის სახლებსა, კლუბებსა და სასწავლებლებში ეწყობა აღორძინების ეპოქის გენიალური წარმომადგენლის მრავალმხრივი შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები, სესიები, მოხსენებები.

თავისი შემოქმედების ხასიათით, მეცნიერულ-კვლევითი აზრის სიღრმით, ბუნების მოვლენათა შესწავლის მეთოდით, ესთეტიკური შეხედულებებით ლეონარდო და ვინჩი იყო ევროპული ჰუმანიზმის ყველაზე მკაფიო და მკვეთრი წარმომადგენელი. ცოდნისა და ცნობისმოყვარე მისი გონება სწვდებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგის სიღრმეს: ეძებდა რა ახალ გზებს, იგი ცდილობდა ახალ გზაზე შემოეტრიალებინა ის, რაც მანამდე გაკეთდა. ლეონარდო და ვინჩი სრულიად უარყოფდა რელიგიურ კრიტერიუმებს, რომლებიც მის დროს ბატონობდა სამეცნიერო კვლევის სფეროებში. სამეცნიერო გამოკვლევას იგი საფუძვლად უდებდა ცდებს; მან პირველად გამოთქვა აზრი თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთგანუყოფელი კავშირის შესახებ.

ლეონარდო და ვინჩის შემოქმედება ვითარდებოდა ისეთ დროს, როცა იტალიურ ქალაქებში წარმოშობილმა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ უკვე შეარყია შუასაუკუნეების ფეოდალურ-რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძვლები, როცა რენესანსის ეპოქის კულტურამ ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია. ამ ეპოქამ საკაცობრიო კულტურას მისცა ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალი დიდი მოღვაწე. იეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, რომელიც მანამდე კაცობრობას ოდესმე განეცადა, ეს იყო ეპოქა, „რომელსაც ტიტანები ესაჭიროებოდა და რომელმაც ტიტანები წარმოშვა, ტიტანები ბრძოლის ძალიერებით, ენერგიით და ბასრობით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით... ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი კი არ ყოფილა, არამედ იყო ბერეთელ დიდი მათემატიკოსი, შეკანიკოსი და ინჟინერი, რომლის წყალობით ფიზიკას სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელოვანი აღმოჩენები აქვს მოპოვებული“ (ფრ. ენგელსი).

1452 წელს, ფლორენციის ახლოს, პატარა ქალაქ ვინჩში ნოტარიუს პიერ და ვინჩის და უბრალო გლეხის ქალს, ქორწინების გარეშე, შეეძინათ ეაჟი — ლეონარდო, მომავალი დიდი ხელოვანი. ლეონარდო იზრდებოდა მამის ოჯახში და თავისი წრის ახალგაზრდისათვის შესაფერ განათლებას ღებულობდა — სწავლობდა ლათინურ ენას, მწერლობას, ღვთისმეტყველებას, არითმეტიკას. როცა მამამისი მეოდეოდ ფლორენციაში დასახლდა, თავისი 14 წლის ეაჟი, რომელმაც ბავშვობაში ხატვის იშვიათი ნიჭი გამოიჩინა, შეგირდად მიაბარა ცნობილ ფლორენციელ მხატვარს, მოქანდაკეს და ოქრომჭედელს ანდრეა ვერიოლოს.

ვერიოლოს სახელოსნოში ლეონარდო უბრალო მოწაფედ მოვიდა, მაგრამ თხუთმეტი წლის შემდეგ იქიდან გამოეთა ოსტატი, რომელიც თანამედროვეთა გადაწყვეტილება და აღტაცებას იწვევდა. აქ მან გაიარა სწავლების ხანგრძლივი კურსი, დაწყო ნახატის საფუძვლების შესწავლით, გაიტაცა ანატომიამ, ფერწერის შექ-ჩრდილისა და პერსპექტივის საკითხების შესწავლამ, მათემატიკამ და მექანიკამ. ლეონარდოს მხატვრული მოღვაწეობის პირველი პერიოდი განუყრელად დაკავშირებულია იმდროინდელ იტალიასა და მთელი ევროპის მხატვრული ცხოვრების ყველაზე დიდ ცენტრთან — ფლორენციასთან.

მე-15 საუკუნის სამოცდაათიანი წლების ფლორენცია იტალიის ერთიერთი მთავარი სამრეწველო ქალაქი იყო, რომელიც მალე იქცა აღორძინების ეპოქის ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავების მნიშვნელოვან ცენტრად. დიდ პოლიტიკურ საკითხებთან ერთად იმ დროის ფლორენციაში ხელოვნების — ფერწერის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების საკითხები ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლის და ცხარე კამათის საგნად იქცა; ხელოვანი შეიქნა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთი მთავარი ფიგურა.

სამოცდაათიანი წლების ეპოქიდან შემორჩენილია ლეონარდოს რამდენიმე ნამუშევარი: ანგელოსის ფიგურა ვერროიოს „ნათლისღებაში“ (უფიცი), მცირე მოცულობის „ხარობა“ (ლუვრი) და ე. წ. ბენუას მადონა (ერმიტაჟი). ამ ნამუშევრებსა და ამ დროიდან ნახატებში ლეონარდო უკვე გვეკონება ოსტატად, რომელიც ეძებს ახალ გზებს ხელოვნებაში. ამ პერიოდის ნახატებში იგი სწავლობს მოძრაობათა რთულ მოტივებს, ჟესტებისა და ბერეოობების

ლეონარდო და ვინჩი — ნახატი კორნელი სანანდაიას

★

ნახატებს, ქალთა სახეებს, ეძებს კომპოზიციურ ფორმულებს სხვადასხვა მადონებისათვის. ამ ნაწარმოებებში ლეონარდომ ეკუთვნილი მე-15 საუკუნის გოტიზირებული ხელოვნების პირობითობა და მისი სტილიზაცია. გოტიზირებული მანერა თანდათანობით ირის შეცელილი ლეონარდოს ფერწერულ ნაბატებსა და ესკიზებში. მე-15 საუკუნის იტალიურ ხელოვნებაში ასახული იყო გამხდარი სხეული წვრილი ხელებით, ფეხებით და თითებით, ზომაზე მაღალი ტანი, გეომეტრიული ფიგურების სახით სხეულზე შემოხვეული ტანსაცმელი გრძელი კალთებით; ამ ხელოვნებას ახასიათებდა სიბრტყეზე კომპოზიციის გაშლის ხერხი, კომპოზიციის განვითარება სიმეტრიის კანონის მიხედვით, ორალრმა წინა სიბრტყეზე მცირე რელიეფიანი ფიგურების შეფერადება, ფიგურული შეკი — მე-15 საუკუნის ხელოვნების სტილისა და ფერწერული მანერის ყველა ეს თვისებრივება დიდმა ხელოვანმა თანდათანობით დასძლია და გადალახა.

ბუნების დაკვირვებით და შესწავლით ლეონარდომ შეიმუშავა ახალი ფერწერული მანერა და სტილი. ამით საფუძველი ჩაეყარა რეალისტურ მეთოდს ევროპული ხელოვნების ოსტატთა შემოქმედების მრავალფეროვნებაში. იგი გულმოდგინედ სწავლობს ადამიანის ფიგურას, მის მოძრაობას, მის პროპორციებს; იგი სიცოცხლეს ანიჭებს სახეს ოდნავ შესამჩნევი ღიმილით: სწავლობს ადამიანის სახის ჟესტებს და ეკიდოთ ადამიანის შინაგანი განცდების გამოხატვას; იგი ცდილობს შეარბილოს კონტურები ნატიფი შეჩრდილოვანი გადასვლებით, ჰქმნის შეწონასწორებულ, მტკიცედ შეკრულ კომპოზიციებს. „მაგვთა თაყვანისცემისა“ და დაკარგული სურათის „შობისათვის“ დაწერილი ადრინდელი ნახატები, „მადონა მღვიმეში“ ეკუთვნებენ ლეონარდოს ახალი ფერწერული მანერის ჩამოყალიბების პროცესს, გვიანი გოტიკის ხელოვნების ფორმებიდან სადა, ბომწყვეტელ და დიდ სტილზე გადასვლას.

დაესრულებელმა კვლევა-ძიებებმა მათემატიკის, მექანიკის, ანატომიის სფეროში მხატვარი მოწყვეტეს ფერწერას. ამიტომ მრავალი დაწყებული სურათი მის დაუთავრებელი დარჩა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი გატაცებული იყო სხვადასხვა მეცნიერული პრობლემებით, ცდებით, თეორიული გამოკვლევებით, დაკვირვებებით, რომლებიც ზოგჯერ დაუთავრებელ რჩებოდა. მათი დამთავრება არ ხერხდებოდა, რადგან ისინი წინ უსწრებდნენ ეპოქას: ჩვენს დროამდე მოაღწია ლეონარდოს ხელნაწერებმა (დაახლოვებით 7.000 გვერდი), რომლებიც უხვადაა დასურათებული მისი შესანიშნავი ნახატებით. ამ ხელნაწერების ყოველი სტრიქონი (ცალმარცხენა ენციკლოპედიური მხატვრის შემოქმედებითი აზრის სიორმაგისა და გაქანებას. „ტრაქტატი ფერწერის შესახებ“ წარმოადგენს ამ ხელნაწერებიდან ამოღებულ აზრთა კრებულს. რომელიც შესანიშნავადაა ფიქრებული რუსულ ენაზე. ეს ტრაქტატი უძველესი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც იძლევა საშუალებას ჩაუწვდეთ და გაიგოთ ალორძინების ეპოქის ამ უდიდესი ხელოვანის ფერწერული მანერა. თავისი საკუთარ რეალისტური პრინციპით ეს ტრაქტატი ეხმარება ჩვენს ეპოქას.

ლეონარდოს ხელოვნება და მეცნიერული ინტერესები სრულიად ეცხო იყო ლეონარდო მედიჩისა და მისი წრის სათვის. ლორენცო მედიჩი იმ დროის ფლორენციის ოლიგარქიული მმართველი იყო. მედიჩის სასახლის საუკეთესო მხატვრები იყვნენ ბოტიჩელი და ფილიპინო ლიპი; ოლიგარქი მხატვრობაზეთ ძალიან ლაპარაკობდა, ბევრ ფულს ხარჯავდა ხელოვნებაზე, ბევრ ფულს ხარჯავდა ბიბლიოთეკის, ბოტანიკურ ბაღის, ზოოლოგიურ ბაღის, ანატომიურ თეატრის, ანატომიურ ბაღის, ანატომიურ ბაღის, ანატომიურ ბაღ